საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №41

2016 წლის 8 დეკემბერი

ქ. თბილისი

ოზონდამშლელი ნივთიერებების 2017 წლის წლიური საიმპორტო კვოტის დამტკიცების შესახებ

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38[1] მუხლის მე-5 პუნქტისა და „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს 2017 წლის საიმპორტო წლიური კვოტა შემდეგი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებისთვის: წყალბადქლორფტორნახშირბადი (CHF2Cl, HCFC-22) – 66,48 მეტრული ტონა.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 20 დეკემბრიდან.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი — **გიგლა აგულაშვილი**